შეტყობინება
საზაფხულო ბანაკების შესახებ

ყვარლის საზაფხულო ქრისტიანულ ბანაკ „იმედ“-ში მონაწილეობის შესახებ განცხადებები მიიღება 2022 წლის

3 აპრილიდან 1 ივნისის

ჩათვლით. გთხოვთ, თქვენი განაცხადი ჩააბაროთ საზაფხულო ბანაკის კომიტეტის წევრებს: ანტონ ჩახლოუს, მარინა დანილენკოს, ვლადიმერ ლიზუნოვს ან ვერონიკა კურსინას. **განცხადებების მიღება განხორციელდება ყოველ კვირა დღეს ღვთისმსახურების შემდეგ.**

ბანაკებში მონაწილეობა შეუძლიათ 7–12 წლის ბავშვებს და 13–18 წლის მოზარდებს. მრევლის არაწევრი მოზარდებისთვის ასაკობრივი ზღვარია 13-15 წელი. დაგეგმილია ოთხი ნაკადი.

2022 წლისათვის ბანაკებში მონაწილეობის გადასახადი ასეთია:

- **თუ ბანაკის მონაწილენი რეგულარულად ესწრებიან საკვირაო სკოლის ან მოზარდთა კლუბის მეცადინეობებს**

  (დასწრებათა მინიმუმ 60% 2021/2022 სასწავლო წლის ბოლოს),

  მაშინ ოჯახიდან ერთი მსურველი გადაიხდის **40 ლარს.**

  ოჯახიდან ორი ან მეტი მსურველის შემთხვევაში, თითოეული გადაიხდის 35 ლარს.

- თუ ბანაკის მონაწილის მშობლები, ბებია ან ბაბუა **ეკლესიის სამრევლოების წევრები ან სელე-ს თანამშრომლები არიან**,

  მაშინ ოჯახიდან ერთი მსურველი გადაიხდის **80 ლარს.**

  ოჯახიდან ორი ან მეტი მსურველი გადაიხდის 60 ლარს სულზე.

- თუ ბანაკის მონაწილენი რეგულარულად **არ** ესწრებიან საკვირაო სკოლის ან მოზარდთა კლუბის მეცადინეობებს; თუ მათი მშობლები, ბებია ან ბაბუა ეკლესიის სამრევლოების წევრები არც სელე-ს თანამშრომლები **არ არიან**,

  მაშინ ბანაკში მონაწილეობისათვის გადაიხდიან **140 ლარს**.

ბანაკის ხელმძღვანელ-პედეგოგის მოვალეობის *შესრულების მსურველებმა თავიანთი განაცხადი უნდა მოგვაწოდონ ა/წ 3 აპრილიდან 22 აპრილამდე. კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2022 წელს ხელმძღვანელის დამხმარეს არჩევს თავად ხელმძღვანელ-პედაგოგი, ამიტომ, გთხოვთ, განაცხადში მიუთითოთ ხელმძღვანელის დამხმარის კანდიდატურაც.* ***მზარეულის და მზარეულის დამხმარის მოვალეობის*** *შესრულების მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ 3 აპრილიდან 10 მაისამდე.*

საზაფხულო ბანაკების კომიტეტი